REVIEW რეცენზია

TIME AND PEOPLE. ACADEMICIAN ZURAB TSERETELI

დრო და ადამიანები. აკადემიკოსი ზურაბ წერეთელი

The article is devoted to individual episodes of the life and work of Zurab Tsereteli, a prominent Georgian artist, sculptor and architect, a member of the Georgian National Academy of Sciences.

დიდი ხანია საზოგადოებისათვის ცნობილია ბ-ნი ზურაბის გულისხმიერება ეთნოლოგიისადმი. ეს არის მისი ახალგაზრდობის წლებიდან მომდინარე ქართული კულტურის, ეთნოგრაფიული ველის და თავისი მოძღვრის - აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასადმი გულწრფელი პატივისცემა და სიყვარული.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ-მეთოდური საბჭოს მიერ საქართველოს მთის რეგიონებსა (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი, სვანეთი) და ჩრდილოკავკასიაში დაიგეგმა მრავალწლიანი კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციები. ზურაბი, ამ შესანიშნავი და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, განუმეორებელი ექსპედიციების თანამონაწილე იყო. სხვათა შორის, იმხანად, მთაში სამანქანო გზები თითქმის არ არსებობდა. საცალფეხო, ზოგჯერ გაუვალი ბილიკებით, ფეხით თუ ცხენებით გვიხდებოდა სოფლიდან სოფელში გადაადგილება.

ბ-ნი ზურაბი, თავისი შემოქმედებით, მუდამ ექსპედიციის წევრთა ყურადღების ცენტრში იყო. ჩვენ უნებლიე მოწმენი ვიყავით, თუ რა გატაცებით ხატავდა იგი მთის უნიკალურ პეიზაჟებს, არქიტექტურულ ძეგლებს, დასახლების ფორმებს, საკულტო ნაგებობებს, ცალკეულ ორნამენტებს, მთის ადგილობრივ მოსახლეობას და ა. შ. მის მიერ უშუალოდ ხალხურ ყოფაში შექმნილი ტილოები არამხოლოდ მაღალმხატვრულობით გამოირჩევა, არამედ იდეურ-შინაარსობრივად ქართველ მთიელთა და, საერთოდ, საქართველოს კულტურის ისტორიის მემატიანეა. აი, რატომ ჩანს ზურაბის ნამუშევრებში ჭეშმარიტად ქართული სული, ხასიათი, რომელიც უშუალო კავშირშია თავად ქართველი მხატვრის ინდივიდუალურ ხედვასთან. ყოველივე ამან განაპირობა მისი ნახატების ორიგინალობა და განუმეორებლობა, რის გამოც მოგვიანებით, იგი მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს დიდ ფერმწერად და მოქანდაკედ მოგვევლინა. ბატონი

ზურაბი თვითონ წერს, რომ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მიღებული შთაბეჭდილებები გახდა მისი შემდგომი შემოქმედების საზრდო და, რომ იგი რჩება ქართული ტრადიციული კულტურის თაყვანისმცემლად. მისი მოძღვრის - ბ-ნი გიორგის შთაგონებით კულტურის ისტორიაში მხოლოდ ის ნაწარმოები იმკვიდრებს სათანადო ადგილს, რომელიც ეროვნული ფორმით გამოხატავს ზოგადსაკაცობრიო იდეალებს. მას სრულყოფილად მიაჩნდა ნაშრომი, რომელიც შესაბამისი ჩანახატებით იქნებოდა შევსებული და გამ-

დიდრებული. „ზურაბს აქვს კარგი თვალი, განსაკუთრებით ბუნებრივი ფერის შეგრძნების უნარი. მე ვთხოვე ეთნოგრაფიული ჩანახატები გააკეთოს ფერებში“ - წერს ბ-ნი გიორგი (2:6). აქვე შევნიშნავ, რომ პაბლო პიკასო ახალგაზრდა ზურაბ წერეთლის შემოქმედებაში ყურადღებას ამახვილებს ფერზე: „ის ღრმად შეიგრძნობს ფერს, საოცარი უნარი აქვს განზოგადების. მე ვფიქრობ, უდაოდ დიდი ფერმწერი დადგება. მდიდარი ტრადიციები მიიღო მან ფიროსმანისაგან“... (2:7). „ფერთან“ დაკავშირებით მახსენდება ერთი ეპიზოდი ჩვენი ექსპედიციური ცხოვრებიდან: დილით, როცა ჩვეულებრივ, ველზე გასასვლელად მოვემზადეთ და კარვებიდან გარეთ გავედით, ჩვენ თვალწინ გადაიშალა შესანიშნავი პეიზაჟი... აღფრთოვანებულებმა ერთხმად ვიყვირეთ, „ეს ხომ ზურიკოს ნახატია“ – გაღმა მთის კალთებზე გაშლილი და მზის სხივებით წითლად შეფერილი „თივის ზვინები“. უნდა ითქვას, რომ ბ-ნი ზურაბის ნახატების „პირველი შემფასებლები“ ვიყავით ჩვენ, ექსპედიციის წევრები. ბ-მა ზურაბმა ბ-ნი გიორგის სურვილი რეალობად აქცია. მისთვის დამახასიათებელი ნატიფი ფერებით შესრულებულმა უნიკალურმა ნახატებმა, დაამშვენა და, იმავდროულად, საოცრად გაამდიდრა და შეავსო გიორგი ჩიტაიას „შრომების“ ხუთტომეული. ეს ნაშრომი ბ-ნი ზურაბის და პროფესორ თამილა ცაგარეიშვილის ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი ბ-მა ზურაბმა თავად დააფინანსა და გახდა მისი გამოცემის სულისჩამდგმელი. ეს დიდი და, მე ვიტყოდი, ეროვნული საქმე მან ყველაზე უმძიმეს წლებში განახორციელა. ამ ფასდაუდებელი ნაშრომისათვის ბ-ნ ზურაბს და ქ-ნ თამილას სახელმწიფო პრემია მიენიჭათ. განა მხოლოდ ეს? ბ-ნი ზურაბის თანადგომით შეიქმნა ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი; დაარსდა გიორგი ჩიტაიას სახელობის სახლ-მუზეუმი; გამოქვეყნდა კატალოგი „გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ“; მეცნიერულ-პოპულარული სერია „ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა და მრავალი სხვ. მახსოვს, ბ-ნი გიორგის ხელმძღვანელობით როგორ შედგა ეთნოგრაფთა და მხატვარ-არქიტექტორთა ჯგუფი, რომელიც, შეიძლება ითქვას, „თითოეულ ქვას“ ეზიდებოდა საქართველოს ცალკეული რეგიონებიდან. ქვას ქვაზე აწყობდნენ და, ასე, დაუღალავად და დიდი რწმენით აშენებდნენ უნიკალურ მუზეუმს. აკადემიკოსი როინ მეტრეველი აღნიშნავს, რომ „ზურაბ წერეთლის ფინანსური დახმარებით ფონდმა რესტავრაცია გაუკეთა ოდასახლს, გადმოტანილს სოფელ მარნიდან, რომელიც განთავსდა ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ. დაარსდა „ეთნოგრაფიის სახლი“, რომელიც სრულად შეესაბამება ეთნოგრაფიული მუზეუმის თემატურ შინაარსს და ორგანულად ჯდება სამუზეუმო სივრცეში. „ეთნოგრაფიის სახლში“ დაცულია მნიშვნელოვანი საარქივო მასალები, საფუძველი ჩაეყარა ქართველოლოგიური ბიბლიოთეკის დაარსებას“(1:19). აქვე შევნიშნავ, რომ ქ-მა თამილამ თავისი ჯანმრთელობის ფასად შემოინახა ბ-ნი გიორგი ჩიტაიას მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მდიდარი არქივი, მემორიალური ბიბლიოთეკა და ნივთები, რომლებიც ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე ბ-ნი ზურაბის ხელშეწყობით დაბინავდა. ბ-ნი გიორგის ხელნაწერ (ხშირად ფანქრით, ე. წ. „გაკრული

ხელით“ ჩაწერილ) ზღვა მასალაში გარკვევა და მისი დამუშავება საოცარ ნებისყოფას და ძალისხმევას მოითხოვდა. ასეთ ვითარებაში, მრავალი წლის მანძილზე, თამილას მიერ ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოები, შეიძლება ითქვას, გმირობის ტოლფასი იყო. შემთხვევითი არ არის, რომ ბ-ნ ზურაბს და ქ-ნ თამილას, მოგვიანებით, გიორგი ჩიტაიას I პრემია მიენიჭათ.

ეთნოგრაფიული ექსპედიციები საწინდარი გახდა ბ-ნი ზურაბის და ბატონი გიორგის განსაკუთრებული მეგობრობისა, რომელიც შემდგომში, 2018 წელს, აისახა წიგნში „საუბრები გიორგი ჩიტაიასთან“. ეს წიგნი, რომელიც დატვირთულია ეთნოგრაფიული ტილოებით, თავისი მხატვრული ღირებულებით და იდეური შინაარსით საქართველოს წარმოაჩენს როგორც მდიდარი ტრადიციების, „ორიგინალური, თავისთავადი ნიშნების“ მქონე კულტურის ქვეყანას. აქვე შევნიშნავ, რომ ჩვენი ექსპედიციების საველე გაზეთების ფურცლებზე შემონახულია შესანიშნავი იუმორისტული ჩანახატები, რომლებშიც ასახულია ექსპედიციებში ცხოვრების კომიკური ეპიზოდები.

ბ-ნი ზურაბი გამორჩეულია მისთვის დამახასიათებელი კეთილშობილებით, უსაზღვრო სიკეთით და კაცთმოყვარეობით. ბ-ნი როინ მეტრეველი წერს: „ზურაბ წერეთელი უნივერსალური ადამიანია. ცალკე მინდა აღვნიშნო ხალხთან მისი კეთილი დამოკიდებულება, რაც უანგაროდ გამოიხატება ყველა გაჭირვებულის ტკივილის გაზიარებასა და დიდ ქველმოქმედებაში. ყოველივე ეს ავსებს ზურაბ წერეთლის უნივერსალიზმს... იგი სითბოთი და სიყვარულით სავსე ადამიანია. აქედან მოდის მისი სინატიფით სავსე, ფაქიზი დამოკიდებულება ოჯახისადმი... განსაკუთრებულ პატივს მიაგებს მეუღლის, ინესა ანდრონიკაშვილის ხსოვნას“ (1:41). ბ-ნი როინის ეს შეხედულება სავსებით ეხმიანება ბ-ნი ზურაბის გამონათქვამს: „მიყვარს ღმერთი, ჩემი სამშობლო, ჩემი ოჯახი, ჩემი პროფესია. ვცხოვრობ უანგაროდ, სიკეთის კეთებითა და სიმართლით... ადამიანი კეთილშობილდება მაშინ, როცა მისი ცხოვრების კრედო სწორხაზოვნად მიყვება ერთ პრინციპს - „გიყვარდეს ღმერთი შენი და მოყვასი შენი“. არანაკლები სიკეთით გამოირჩეოდა ბ-ნი ზურაბის მეუღლე, უმშვენიერესი ქ-ნი ინესა. პროფესორ ჯულიეტა რუხაძის დახასიათებით ინესა „დიდებული ქართველი ქალის სიმბოლოა. კეთილშობილი, თავმდაბალი, ბუნებით ინტელიგენტი, გულწრფელი და უანგარო... უყვარდა თქმა: კაცი რომ სიკეთეს სჩადის, დიდ შინაგან კმაყოფილებას განიცდისო... ინესას ფიქრებისა და სურვილების სათავე, სიცოცხლის ბოლომდე, ზურაბ წერეთლის შემოქმედება წარმოადგენდა“ (2:25,28).

ბ-ნი ზურაბი აღიარებულია „XX-XXI საუკუნეების მსოფლიო ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად; უზარმაზარი შემოქმედების ავტორად (ფერწერა, გრაფიკა, მინანქარი,ჭედურობა, მოზაიკა, დაზგური და მონუმენტური ხელოვნება). მრავალი ქვეყნის საპატიო ჯილდოს, წოდების, ლაურეატობის მფლობელად, მსოფლიო მოქალაქედ“. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შეხედულებით, „ბატონ წერეთლის შემოქმედების ფესვები ქართული კულტურიდან იღებს სათავეს. მან ერთ-ერთმა პირველმა აღადგინა მსოფლიოში ცნობილი ძველი ქართული მინანქრის ტექნიკა და რეალობად აქცია მისი გამოყენება

მონუმენტურ ხელოვნებაში. მანვე პირველმა განახორციელა სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის სინთეზი და ზურაბმა თავისი სიტყვა თქვა საეკლესიო სფეროშიც“. აკადემიკოსი როინ მეტრეველი ბ-ნი ზურაბის შემოქმედების დახასიათებისას აღნიშნავს: „ზურაბ წერეთელმა ყველასათვის გასაგებ ენაზე მაღალი ოსტატობით აჩვენა, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, მისი ეროვნული საზომიც ისტორიული ფესვების სიძველეა... ისტორიულ-მემორიალური კომპლექსი „ყეენის მთაზე“ - ძეგლი მუზეუმი „საქართველოს მატიანე“, მსოფლიო მასშტაბის უნიკალური ძეგლია. მისი ანალოგი ჩვენს სამყაროში არ მოიძებნება. აქ, ზურაბ წერეთელმა მხატვრულ სივრცეში მოხდენილად შეუთანხმა ერთმანეთს დასავლური და აღმოსავლური, კლასიკური და მოდერნისტული კულტურული სიმბოლოები და წარმატებით მიაღწია ქმნილების ფორმით - შინაარსობრივ სიმდიდრეს... წარსულისა და თანამედროვეობის შერწყმა რეალურადაა განხორციელებული „ყეენის მთაზე“... ზურაბ წერეთელმა თავისი გასაოცარი შრომით, შთამბეჭდავი შემოქმედებით მიაღწია იმას, რომ მსოფლიო ზეპური საზოგადოება - სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები, მეფეები და დედოფლები, მაღალი სასულიერო იერარქნი, მწერლები და მხატვრები, რეჟისორები და მსახიობები და ა. შ. - უდიდესი პატივისცემით არიან განმსჭვალულნი და მასთან მეგობრობას ესწრაფვიან“ (1:28,39,41,42). და ბოლოს, მარკ შაგალი წერს: „ფერწერა ზურაბისთვის ყველა საწყისის საწყისია. ბრავო, ბრავო ზურაბ!“ (27).

ზურაბ წერეთლის დიდებულ შემოქმედებაში წარმოდგენილ სოციალურ-კულტურულ სივრცეს, რომელიც ორგანულად უკავშირდება მატერიალური და სულიერი კულტურის „ერთიან, მწყობრ სისტემას“, მსოფლიო კულტურის საგანძურში ღირსეული, გამორჩეული ადგილი აქვს დამკვიდრებული.

ბატონო ზურაბ, გისურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს და ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

metreveli, r. (2023). tsarsuli khelovnebis enit. istoria zurab tseretelis tvalsatsieridan. tbilisi. (მეტრეველი, რ. (2023). წარსული ხელოვნების ენით. ისტორია ზურაბ წერეთლის თვალსაწიერიდან. თბილისი.).

tsagareisvili,t. tsereteli, z. (2018). saubrebi giorgi tsitaiastan. tbilisi. (ცაგარეიშვილი, თ. წერეთელი,ზ. (2018). საუბრები გიორგი ჩიტაიასთან. თბილისი.).

Nino (Nanuli) maisuradze
Doctor of Historical Sciences, Professor

ნინო (ნანული) მაისურძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი